

74-ე სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის

დებულება

ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე (შემდგომში - სასახლე), შესაბამისი პარტნიორი ორგანიზაციის/ორგანიზაციების მხარდაჭერით ატარებს სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციას (შემდგომში - კონფერენცია).

მუხლი 1. კონფერენციის მიზანი.

1. კონფერენციის მიზანია:
 - 1.1. მიღებული ცოდნის, დამოუკიდებელი მუშაობისა და ინფორმაციის სინთეზის უნარების წარმოჩენა;
 - 1.2. ახალგაზრდების ინტერესის გაძლიერება მეცნიერებისა და კულტურის ამა თუ იმ დარგის დასაუფლებლად;
 - 1.3. საკვლევი ხასიათის ექსპერიმენტებისა და ტექნიკური შემოქმედების ნიმუშების დამზადების ჩვევების წარმოჩენა;
 - 1.4. ახალგაზრდებში კვლევის საჯარო უნარებისა და პრეზენტაციის უნარების წარმოჩენა.

მუხლი 2. კონფერენციის ძირითადი წესები და საკონკურსო პირობები.

- 2.1 კონფერენციაში მონაწილეობისათვის საჭიროა მითითებული დებულებით გათვალისწინებული წესების დაცვა:
 - 2.1.1. კონფერენციაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ, როგორც საჯარო, კერძო, სრული და არასრული სკოლების, გიმნაზიებისა და კოლეჯების ისე, სკოლისგარეშე დაწესებულების, ახალგაზრდული ცენტრების წრეებისა და კლუბების წევრებს.
 - 2.1.2. კონფერენციაში მონაწილეობა შეუძლიათ VIII-XII კლასის როგორც საქართველოს მოქალაქეს, ისე მოქალაქეობის არმქონე ან უცხოელ მოსწავლეებს.
 - 2.1.3. ტექნიკისა და ინფორმატიკის სექციებში დასაშვებია VII კლასის მოსწავლეთა მონაწილეობა.
 - 2.1.4. კონფერენციას ხელმძღვანელობს კონფერენციის საორგანიზაციო კომისია, რომლის წევრები ინიშნებიან სასახლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე.
 - 2.1.5. დამატებითი კითხვებისა და დეტალური ინფორმაციის მისაღებად რეგიონებს შეუძლიათ მიმართონ ეროვნული სასახლის პარტნიორ მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის/სახლის (ბათუმის, ქუთაისისა, თელავისა და საგარეჯოს) ხელმძღვანელებს.

მუხლი 3. კონფერენციაში მონაწილეთა შერჩევის პროცედურა.

- 3.1 კონფერენციაზე გამარჯვებული ნაშრომების გამოვლენა ხდება შემდეგი წესით:
- 3.1.1. კონფერენციაზე წარმოდგენილი ნაშრომთა აბსტრაქტები შეფასდება მიმღები კომისიის მიერ, დებულების მეხუთე მუხლისა და დამტკიცებული ნიმუშის შესაბამისად (იხ.დანართი N1).
 - 3.1.2. კონფერენციაზე წარმოდგენილი ნაშრომები იქნება კოდირებული მიმღები კომისიის მიერ, რომელიც ასევე ამოწმებს ნაშრომის შესაბამისობას ფორმალურ კრიტერიუმებთან. კონფერენციის შემდეგ ეტაპზე დაიშვება მონაწილის ნაშრომი, რომელიც მიიღებს შეფასებას 71–დან – 80 ქულამდე (იხ.დანართი №2). ნაშრომთა შეფასების შედეგად მიღებული ქულები გამოქვეყნდება სასახლის ვებ-გვერდზე.
 - 3.1.3. წარმოდგენილი ნაშრომები შეფასდება სასახლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ.
 - 3.1.4. მესამე ეტაპზე გამოძახებული ავტორები ნაშრომებს დაიცავენ დამოუკიდებელი კომისიის წინაშე. კომისიის წევრთა შემადგენლობა განისაზღვება სასახლის დირექტორის ბრძანებით.
 - 3.1.5. ნაშრომის საჯარო დაცვა ფასდება 20 ქულით. ავტორები, რომლებიც მიიღებენ ყველაზე მაღალ შეფასებას გახდებიან პირველი და მეორე ადგილის მფლობელები.
 - 3.1.6. სექციაზე საუკეთესო ნაშრომების ავტორები დაჯილდოვდებიან სექციიდან ერთი პირველი და ერთი მეორე ხარისხის დიპლომებით. დანარჩენ მონაწილეებს, რომელთაც დაიცვეს ნაშრომი სასახლეში, გადაეცემათ სიგელები.
 - 3.1.7. სასახლე უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სასახლის დირექტორის წარდგინების საფუძველზე გასცეს მადლობის სიგელები, ჯილდოები და სხვა.

მუხლი 4. კონფერენციის ეტაპები და ვადები

- 4.1 კონფერენცია ჩატარდება 4 ეტაპად:
- 4.1.1. კონფერენციის პირველი ეტაპი ჩატარდება 1 მარტიდან 15 აპრილის ჩათვლით. პირველი ეტაპი გულისხმობს:
 - 4.1.1.1. აბსტრაქტების მიღება - 1 მარტიდან 31 მარტის ჩათვლით;
 - 4.1.1.2. აბსტრაქტების შეფასება და შემდეგ ეტაპზე გადასულ მონაწილეთა ინფორმირება - 1 აპრილიდან 15 აპრილის ჩათვლით. მონაწილეებს, რომელთაც შესაძლებლობა ექნებათ გააგრძელონ კონფერენციაში მონაწილეობა, ინფორმაცია გაეგზავნებათ იმ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, რომლითაც მათ გამოაგზავნეს ნაშრომთა აბსტრაქტები;

- 4.1.2. კონფერენციის მეორე ეტაპი ჩატარდება 1 მაისიდან 17 ივნისის ჩათვლით. მეორე ეტაპი გულისხმობს:
 - 4.1.2.1. ნაშრომთა მიღება-1 მაისიდან 1 ივნისის ჩათვლით.
 - 4.1.2.2. ნაშრომთა შეფასება- 1 ივნისიდან 10 ივნისის ჩათვლით;
 - 4.1.2.3. შემდეგ ეტაპზე გადასულ მონაწილეთა ინფორმირება - 11 ივნისიდან 13 ივნისის ჩათვლით. მონაწილეებს, რომელთაც შესაძლებლობა ექნებათ გააგრძელონ კონფერენციაში მონაწილეობა, ინფორმაცია გაეგზავნებათ იმ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, რომლითაც მათ გამოაგზავნეს ნაშრომები.
 - 4.1.2.4. შედეგების აპელაცია - 13 ივნისიდან 15 ივნისის ჩათვლით;
 - 4.1.2.5. აპელაციის შედეგების აპელანტებისათვის შეტყობინება - 16 ივნისიდან 17 ივნისის ჩათვლით
- 4.1.3. კონფერენციის მესამე ეტაპი ჩატარდება 20 ივნისიდან 30 ივნისის ჩათვლით. მესამე ეტაპი გულისხმობს:
 - 4.1.3.1. ნაშრომთა დაცვა - 20 ივნისიდან 30 ივნისის ჩათვლით. ნაშრომთა დაცვა მოხდება მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში, მოწვეული დამოუკიდებელი კომისიის წინაშე. ნაშრომის დაცვის თარიღი, ნაშრომის დაცვამდე, მინიმუმ, 7(შვიდი) კალენდარული დღით ადრე, მონაწილეებს ეცნობებათ იმ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, რომლითაც ავტორებმა გამოაგზავნეს ნაშრომები.
 - 4.1.3.2. შედეგების აპელაცია - ნაშრომის დაცვიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში, მონაწილეებს უფლება აქვთ, გაასაჩივრონ კომისიის გადაწყვეტილება.
 - 4.1.3.3. აპელაციის შედეგების აპელანტებისათვის შეტყობინება - აპელაციის შედეგები აპელანტებს ეცნობებათ გასაჩივრების ვადის გასვლიდან არაუგვიანეს გასაჩივრებიდან სამუშაო 5 დღის განმავლობაში.
- 4.2. კონფერენციაში პირველი და მეორე ადგილის მფლობელი პირების ნაშრომები გადაიგზავნება შესაბამისი პროფილის პარტნიორ ორგანიზაციაში ჯილდოს მოსაპოვებლად. პარტნიორ ორგანიზაციაში შესაძლოა გადაიგზავნოს სექციიდან დამატებით ერთი მონაწილის ნაშრომი, რომელიც კომისიის წევრთა მოსაზრებით გამოირჩევა კვლევითი, შემეცნებითი, გამოყენებითი ან შემოქმედებითი ხასიათით, პრობლემის აქტუალურობით, მისი გადაჭრის სავარაუდო გზების განხილვა-ანალიზით, თუმცა ვერ შეძლო პირველი და მეორე ადგილის დაკავება.
- 4.3. კონფერენციის მეოთხე, დასკვნით ეტაპზე დაჯილდოვდება თითოეულ სექციაში პირველი და მეორე ადგილის და პარტნიორი ორგანიზაციის ჯილდოს მფლობელები.
- 4.4. კონფერენციის დასკვნითი ეტაპი ჩატარდება არაუგვიანეს 2020 წლის ნოემბრის თვისა. ზუსტი თარიღი მონაწილეებს ეცნობებათ დასკვნითი ეტაპის ჩატარებამდე სულ ცოტა 5 სამუშაო დღით ადრე, იმ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, რომლითაც ავტორებმა გამოაგზავნეს ნაშრომები.

მუხლი 5. მოთხოვნები ნაშრომის აბსტრაქტისადმი და მისი შეფასების კრიტერიუმები

- 5.1 ნაშრომის აბსტრაქტში მოკლედ უნდა იყოს ასახული საკონფერენციო ნაშრომის თემატიკა და საკვლევი საკითხი.
- 5.2 აბსტრაქტი წარმოდგენილი უნდა იყოს ელექტრონული ფორმით შემდეგ ელექტრონულ მისამართზე youthpalconf@gmail.com ნაშრომის აბსტრაქტი ჩაითვლება მიღებულად ელექტრონული ფოსტით მიღებული დამადასტურებელი შეტყობინების შემდეგ.
- 5.3 აბსტრაქტი არ უნდა აღემატებოდეს 300 სიტყვას და წარმოდგენილი უნდა იყოს დამტკიცებული ნიმუშის შესაბამისად (იხ.დანართი N1).
- 5.4 აბსტრაქტები ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:
 - 5.4.1. თემის აქტუალურობა, ორიგინალურობა;
 - 5.4.2. ახალგაზრდების კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება;
- 5.5. აბსტრაქტი არ განიხილება და არ შეფასდება თუ:
 - 5.5.1. აბსტრაქტი არ აკმაყოფილებს დამტკიცებული ნიმუშის (იხ.დანართი N1) მოთხოვნებს.
 - 5.5.2. სახეზეა პლაგიატი პუბლიკაციებიდან, სახელმძღვანელოებიდან ან ინტერნეტ საიტებიდან.

მუხლი 6. მოთხოვნები საკონფერენციო ნაშრომისადმი

- 6.1 საკონფერენციო ნაშრომის მომზადება მოიცავს ავტორის მიერ შესაბამისი სექციის მიხედვით თემის შერჩევას, ხელმძღვანელთან კონსულტაციებსა და დამოუკიდებელ მუშაობას, განსახილველ საკითხთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიებას.
- 6.2 ნაშრომის მოცულობა (ილუსტრაციების, ნახაზების, ნახატებისა და სხვათა გარეშე) შეადგენს 5-15 გვერდს, „Sylfaen“, შრიფტის ზომა–12, ინტერვალი– 1,5
- 6.3 ნაშრომი იგზავნება სპეციალური განაცხადის მიხედვით (იხ.დანართი №3), ელექტრონული ფორმით, შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე youthpalconf@gmail.com ნაშრომს თან უნდა ერთვოდეს შევსებული ელექტრონული განაცხადის ფორმა, რომელიც განთავსებულია სასახლის ვებ-გვერდზე youthpalace.ge ნაშრომი ჩაითვლება მიღებულად ელექტრონული ფოსტით მიღებული დამადასტურებელი შეტყობინების შემდეგ.
- 6.4 თემას უნდა ჰყავდეს ერთი ავტორი ან ავტორთა ჯგუფი (არაუმეტეს 2–სა). ავტორთა ჯგუფის შემთხვევაში, ნაშრომში გამოკვეთილი უნდა იყოს თითოეული ავტორის როლი.

მუხლი 7. ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები.

- 7.1 მიღებულ ნაშრომთა ფორმალურ კრიტერიუმებთან თანხვედრას აფასებს კონფერენციის მიმღები კომისია.
- 7.2 ნაშრომი ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:
- 7.2.1. თემის აქტუალობა, ორიგინალურობა;
 - 7.2.2. მოძიებული საჭირო ინფორმაციის კრიტიკული გააზრება;
 - 7.2.3. ავტორისული დამოკიდებულება, ხედვა და დასკვნა;
 - 7.2.4. ბიბლიოგრაფიისა და გამოყენებული ლიტერატურის სრული ნუსხის მითითება;
- 7.3 ნაშრომი არ განიხილება და არ შეფასდება:
- 7.3.1 თუ ზუსტად არ იქნება მითითებული რომელ სექციას ეკუთვნის იგი. ნაშრომის არასწორ სექციაში გაგზავნის ან სექციის არ მითითების შემთხვევაში ნაშრომი არ განიხილება;
 - 7.3.2 თუ ნაშრომი არ აკმაყოფილებს ამ დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;
 - 7.3.3 პლაგიატი პუბლიკაციებიდან, სახელმძღვანელოებიდან ან ინტერნეტ საიტებიდან.
 - 7.3.4 წინა კონფერენციებში უკვე დამუშავებული თემები;

მუხლი 8. კონფერენციის კომისიები

- 8.1 ნაშრომთა აბსტრაქტებსა და ნაშრომთა ფორმალურ კრიტერიუმებთან თანხვედრას აფასებს კონფერენციის მიმღები კომისია, რომელიც იქმნება და რომლის წევრების ინიშნებიან სასახლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე.
- 8.2 კონფერენციას ხელმძღვანელობს კონფერენციის საორგანიზაციო კომისია, რომელიც იქმნება და რომლის წევრებიც ინიშნებიან სასახლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე.
- 8.3 კონფერენციის სააპელაციო კომისია იქმნება და მისი წევრები ინიშნებიან სასახლის დირექტორის ბრძანების დაფუძველზე. სააპელაციო კომისია განიხილავს სააპელაციო საჩივრებს და ამზადებს არგუმენტირებულ დასკვნას. კომისია შედგება პირებისგან, რომლებიც არ მონაწილეობდნენ ნაშრომთა შეფასებაში კონფერენციის არცერთ სხვა ეტაპებზე.

მუხლი 9. აპელაცია.

- 9.1 კონფერენციაზე წარმოდგენილი ნაშრომის ქულების გამოქვეყნების შემდეგ ავტორებს ეძლევათ 3 (სამუშაო) დღე სასახლის ელექტრონულ ფოსტის მეშვეობით არგუმენტირებული (წერილობითი) აპელირებისთვის.

- 9.2 სააპელაციო კომისიის დასკვნის საფუძველზე შესაძლებელია თავდაპირველად მიღებული შეფასების როგორც გაზრდა, ისე შემცირება.
- 9.3 სააპელაციო კომისია ვალდებულია 5 (სამუშაო) დღის განმავლობაში პასუხი გასცეს სადავო ნაშრომისა და აბსტრაქტის ავტორს.

მუხლი 10. კონფერენციის სექციები

- 10.1. კონფერენციაზე იფუნქციონირებს 12 სექცია
- 10.2. კონფერენციაზე იფუნქციონირებს შემდეგი სექციები:
- 10.2.1. ენათმეცნიერების სექცია (როგორც ქართული, ისე უცხოური)
- 10.2.2. ქართული და მსოფლიო ლიტერატურის სექცია;
- 10.2.3. მათემატიკის სექცია;
- 10.2.4. თანამედროვე ტექნოლოგიების სექცია (ინფორმატიკა, რობოტიკა);
- 10.2.5. ისტორიისა და ეთნოლოგიის სექცია;
- 10.2.6. გეოგრაფიისა და ტურიზმის სექცია;
- 10.2.7. ქიმიისა და ბიოლოგიის სექცია;
- 10.2.8. ფიზიკისა და ასტრონომიის სექცია;
- 10.2.9. საინჟინრო გრაფიკის, არქიტექტურისა და ინჟინერიის სექცია
(გემთმშენებლობა, ავიამოდელირება, რადიოელექტრონიკა და სხვა);
- 10.2.10. სამართალმცოდნეობისა და საერთაშორისო ურთიერთობების სექცია;
- 10.2.11. ფსიქოლოგიისა და სოციოლოგიის სექცია;
- 10.2.12. ხელოვნებათმცოდნეობის სექცია (სახელოვნებო კრიტიკა)

აბსტრაქტი

ეს გზამკვლევი დაგეხმარებათ გაიგოთ:

- რა არის აბსტრაქტი?
- რა საკითხები უნდა იყოს განხილული აბსტრაქტში?
- როგორია აბსტრაქტის ფორმატი?

აბსტრაქტი - ეს არის ინფორმაციული აბზაცი, რომელიც მოკლედ ასახავს საკონფერენციო ნაშრომის თემატიკას და საკვლევ საკითხს.

აბსტრაქტში განხილვა - მნიშვნელოვანი მონაცემები, კვლევის მეთოდი, მიზანი, ძირითადი მიგნებები, დასკვნა.

აბსტრაქტის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 300 სიტყვას.

აბსტრაქტის მიზანია - დააინტერესოს მკითხველი.

აბსტრაქტი 4 ძირითადი ელემენტისგან შედგება:

- **შესავალი**, რომელშიც წარმოდგენილია საკონფერენციო ნაშრომის შერჩევის მოტივაცია და მიზანი;
- **მეთოდები**, რომელიც აღწერს, თუ როგორ მიმდინარეობდა მუშაობა საკონფერენციო ნაშრომზე;
- **შედეგები**, სადამდეგ მივიდა არგუმენტირებული მსჯელობის შემდეგ ნაშრომის ავტორი;
- **დასკვნები**, რომელიც წარმოადგენს შედეგების განხილვასა და მიღებული ინფორმაციის გაანალიზების შედეგად მის გამოყენების პრაქტიკულ მნიშვნელობას.

აბსტრაქტი არ უნდა შეიცავდეს ისეთ ინფორმაციას, რაც ნაშრომში ნახსენები არ არის.

აბსტრაქტში წარმოდგენილი არ არის ციტირება, ცხრილები, გრაფიკები და თვალსაჩინოებები.

აბსტრაქტის დაფორმატებისას გამოიყენება შემდეგი პარამეტრები:

- შრიფტი - Sylfaen;

შრიფტის ფორმა და ზომა:

- სათაური - 14, გამუქებული და სწორი;
- აბსტრაქტის ტექსტი - 12 და სწორი;
- ტექსტის კიდეები გასწორებულია ორივე მხარეს (Ctrl+J);
- სტრიქონებს შორის დაშორება - 1.5;
- სათაურსა და ტექსტს შორის დაშორება - 2 სტრიქონი;

74-ე სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციაზე წარმოადგენილ ნამუშევართა შემფასებლების დასახმარებლად:

ნაშრომის წინასწარი განხილვა ფასდება შემფასებლის მიერ არაუმეტეს 80 ქულით

ნაშრომის ფორმალური მხარე

- 1.1. სტანდარტთან შესაბამისობა/მოცულობა, კომპეტენტები- არაუმეტეს 10 ქულა
- 1.2. აქტუალობა და ნაშრომის ხასიათი- არაუმეტეს 10 ქულა

ნაშრომის შინაარსობრივი მხარე

- 2.1. ფაქტობრივი მასალის ფლობა, პრობლემის ხედვა და ანალიზი-არაუმეტეს 15 ქულა
- 2.2. კვლევის, გამოგონების, მიგნების არსებობა-არაუმეტეს 15 ქულა
- 2.3. არგუმენტებისა და დასკვნების უნარი-არაუმეტეს 15 ქულა
- 2.4. ნაშრომის ენობრივი, ტექნიკური და სტილისტური გამართულობა-არაუმეტეს 15 ქულა

74-ე სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენცია

სექცია _____

თემა _____

ავტორი: /ქალაქი, რაიონი, სახელი, გვარი, სკოლა, კლასი/

მოსწავლის პირადი ნომერი:

თემის ხელმძღვანელი:

თარიღი:

2019-2020 სასწავლო წელი